ხელშეკრულება
ოვერდრაფტის გაცემის შესახებ №---

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია **20-- წლის** -- ------, ქალაქ -------, ერთი მხრივ, **სააქციო საზოგადოება „ხალიკ ბანკი საქართველოს“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 205236537,** იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N74, შემდგომში - **„ბანკი“**; საქართველოს ეროვნულ ბანკში ლიცენზირების ფორმა - კომერციული ბანკი; საზედამხედველო ორგანო - საქართველოს ეროვნული ბანკი; მისამართი: სანაპიროს ქ. N2, თბილისი, საქართველო) წარმოდგენილი სახელი გვარი (პ/ნ 00000000000) სახით და
მეორე მხრივ, **სახელი გვარი** (პ/№00000000000, მისამართი: ----------) შორის (შემდგომში **„მსესხებელი“**);

შემდგომში ერთობლივად წოდებული როგორც “მხარეები”, ხოლო ცალ–ცალკე – „მხარე“

1. **ხელშეკრულების საგანი. ოვერდრაფტის გაცემის პირობები**

1.1. ბანკი, ოვერდრაფტის სახით გასცემს მსესხებელზე კრედიტ(ებ)ს, მსესხებლისათვის საბარათე ანგარიშზე ოვერდრაფტის ლიმიტის დაწესების მეშვეობით (შემდგომში - ოვერდრაფტი). წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის დღისათვის ოვერდრაფტის ლიმიტის ოდენობა შეადგენს **---- (----) ლარს.** ამასთანავე ოვერდრაფტი განისაზღვრება **--/--/20--წ.–მდე ვადით. ოვერდრაფტის მოქმედება ავტომატურად გრძელდება იგივე ვადითა და პირობებით, თუკი ოვერდრაფტის მოქმედების ვადის ამოწურვამდე ერთი თვით ადრე მხარეები წერილობით არ განაცხადებენ უარს მის შემდგომ გაგრძელებაზე. აღნიშნული წესი მოქმედებს ყოველი შემდგომი ვადის ამოწურვისას.**

1.2. კრედიტის ტიპი: ოვერდაფტი

1.3. ოვერდრაფტის ხელშეკრულების მოქმედების ვადა: **--/--/20--წ.–მდე**

1.4. გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა ბანკის ბანკომატიდან განაღდების შემთხვევაში: **-- ლარი**

1.5. გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა სავაჭრო ობიექტებში გახარჯვის შემთხვევაში: **-- ლარი**

1.6. ოვერდრაფტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი: ცვლადი

1.7. ოვერდრაფტის გამოყენებისათვის მსესხებელი უხდის ბანკს გაცემული ოვერდრაფტის თანხიდან საპროცენტო სარგებელს წლიური **--%-ის (--- პროცენტი)** ოდენობით, იმავე ვალუტაში, რომელშიც გაცემულია ოვერდრაფტი.

1.8. ოვერდრაფტის ლიმიტის ფარგლებში ათვისებული თანხა, დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან ერთად დაიფარება ეტაპობრივად, საბარათე ანგარიშზე თანხის ჩარიცხვისას. ოვერდრაფტის ლიმიტის ფარგლებში ათვისებული თანხა სრულად დაფარვას ექვემდებარება ხელშეკრულების მოქმედების ვადის ბოლოს.

1.9. ოვერდრაფტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს:

1.9.1. ხელშეკრულების გაფორმების დღეს მთლიანი თანხის ბანკის ბანკომატიდან განაღდების და ვადის ბოლოს დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან ერთად დაფარვის შემთხვევაში: **--%**

1.9.2. ხელშეკრულების გაფორმების დღეს მთლიანი თანხის სავაჭრო ობიექტებში გახარჯვის და ვადის ბოლოს დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან ერთად დაფარვის შემთხვევაში: **--%**

1.10. ოვერდრაფტის გაცემასთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯები (ხარჯები რომლებიც გამოყენებული იქნა კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში):

- განაღდების საკომისიო ბანკის ბანკომატიდან - **--%, მინიმუმ -- ლარი**
- [დამატებითი ბარათის ღირებულება -- **ლარი**]

1.11. ბანკის წინაშე მსესხებლის ნებისმიერი (მიმდინარე, ვადაგადაცილებული) დავალიანების წარმოქმნისას, ოვერდრაფტის თანხის დაბრუნება და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის, პირგასამტეხლოს, საკომისიოს ხარჯების/დანახარჯების გადახდა წარმოებს შემდეგი რიგითობით: 1) საგადახდო ბარათის/მიმდინარე ანგარიშის ან დისტანციური არხებით მომსახურებისათვის გათვალისწინებული საკომისიო (ასეთის არსებობის შემთხვევაში); 2) ბანკის მიერ, ვალდებულებების შესრულებისათვის, კერძოდ ოვერდრაფტის, მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის, პირგასამტეხლოს დასაფარად გაწეული ხარჯების თანხა; 3) პირგასამტეხლოს თანხა; 4) საპროცენტო სარგებლის თანხა; 5) ოვერდრაფტის თანხა. ბანკი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს და განახორციელოს წინამდებარე პუნქტში მითითებული დაფარვის რიგითობა.

1.12. ოვერდრაფტის თანხის დაბრუნება და ოვერდრაფტზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის, საკომისიოს, პირგასამტეხლოს, დანახარჯების, ბანკის ხარჯების და წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ბანკის მიმართ არსებული მსესხებლის სხვა დავალიანების (მიმდინარე, ვადაგადაცილებული) თანხების გადახდა (შემდგომში ერთობლივად იწოდება როგორც „დავალიანების

თანხა“) წარმოებს ავტომატურად მსესხებლის საბარათე ანგარიშიდან ბანკის მიერ დავალიანების თანხის უაქცეპტოდ ამოღების გზით ბარათზე თანხების ჩარიცხვის მიხედვით.

1.13. მხარეთა პასუხისმგებლობა და ბანკის მიერ, მსესხებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მიღებული ზომები:

1.13.1. ოვერდრაფტზე ვადაგადაცილების წარმოქმნის შემთხვევაში მსესხებელი ბანკს უხდის პირგასამტეხლოს ოვერდრაფტის ვადაგადაცილებული დავალიანების თანხის **წლიური --%-ის** ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, არაუმეტეს ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27%-სა, ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.

1.13.2. ბანკი უფლებამოსილია ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება, გააუქმოს ოვერდრაფტის ლიმიტი და მოსთხოვოს მსესხებელს ოვერდრაფტის დავალიანების თანხის სრულად ვადამდე დაფარვა საქართველოს კანონმდებლობის შესამაბისად, იმ შემთხვევაში თუ წინამდებარე ხელშეკრულების პირობები დაირღვევა მსესხებლის მიერ, კერძოდ თუ:

1) გამოვლინდება მსესხებლის მხრიდან, მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ მცდარი ინფორმაციის მოწოდების ფაქტები;

2) წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გაცემულ ოვერდრაფტზე და გამოყენებული ოვერდრაფტის საპროცენტო სარგებელზე წარმოიქმნება ვადაგადაცილებული დავალიანება;

3) მსესხებელი ჩართულია სასამართლო პროცესში ან/და თუ მსესხებლის ქონებაზე, მათ შორის შესაბამის საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ თანხებზე ვრცელდება გადახდევინების მიქცევა ან/და დაყადაღებულია;

4) მსესხებელი სახელფასო ანგარიშს გადაიტანს სხვა ბანკში (ხელფასის აღება სხვა ბანკში გახსნილი მიმდინარე ანგარიშებიდან);

5) დამსაქმებელი მიაწვდის ბანკს ინფორმაციას მსესხებელთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე.

ბანკი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ინფორმაციას შეატყობინებს მსესხებელს.

1.13.3. ყველა იმ შემთხვევაზე, რაც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებაში, მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

1.14. წინამდებარე ხელშეკრულებაზე, მსესხებელი თავისი ხელმოწერით ბანკს უცხადებს თავის უპირობო თანხმობას ბანკში გახსნილი ყველა ანგარიშიდან, ყველა სახის დავალიანების იმ თანხის უაქცეპტო ამოღებაზე, რაც არ საჭიროებს მსესხებლის აქცეპტს.

1.15. ბანკი არ არის პასუხისმგებელი იმ შედეგებზე, რაც მოჰყვება მსესხებლის მიერ ბანკში დაგვიანებით გაკეთებულ განცხადებას დაკარგული ბარათის/მოპარული საგადახდო ბარათის/დამატებითი ბარათის დაბლოკვის შესახებ.

2. ზოგადი დებულებები

2.1. ბანკი მსესხებელზე გასცემს ოვერდრაფტს ვადიანობის, დაბრუნებადობის და სასყიდლიანობის პირობით;

2.2. ოვერდრაფტის გაცემის ფაქტი დასტურდება, მსესხებლის მიერ საბარათე ანგარიშზე ისეთი ოპერაციის (ოპერაციების) განხორციელების მომენტში, როდესაც განხორციელებული ოპერაციის თანხა აღემატება საბარათე ანგარიშზე არსებულ მსესხებლის კუთვნილ თანხას.

2.3. ოვერდრაფტის გაცემის თარიღად ითვლება 2.2. პუნქტში მითითებული საბარათე ოპერაციის შესრულების თარიღი. ოვერდრაფტის დაბრუნების თარიღად ჩაითვლება მსესხებლის საბარათე ანგარიშზე მოცემული დავალიანების დაფარვის ოპერაციის ასახვის თარიღი. ოვერდრაფტის გაცემისა და სრული მოცულობით დაფარვის თარიღი ითვლება ერთ დღედ. ოვერდრაფტით სარგებლობისათვის დარიცხული სარპოცენტო სარგებლის, პირგასამტეხლოს დარიცხვისას მხედველობაში მიიღება დღეების ზუსტი რაოდენობა (კალენდარის მიხედვით), ამასთან, წელი დაითვლება 365 დღით. ოვერდრაფტით სარგებლობისათვის დარიცხული საპროცენტო სარგებლის დარიცხვა ხდება ოვერდრაფტის ფაქტიურ ნაშთზე.

2.4. იმ შემთხვევაში, თუ ოვერდრაფტის და/ან საპროცენტო სარგებლის გადახდის თარიღი ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ოვერდრაფტის დაბრუნება ხორციელდება შესაბამისი უქმე/დასვენების დღის მომდევნო უახლოეს სამუშაო დღეს.

2.5. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მხარეთა ყველა ვალდებულება უნდა იქნას შესრულებული შესაბამის სამუშაო დღეებში. თუ ვალდებულების შესრულების ვადის ბოლო ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ ვალდებულების შესრულების ბოლო ვადად ითვლება მისი მომდევნო უახლოესი სამუშაო დღე.

2.6. იმ შემთხვევაში, თუ მოხდება საკრედიტო ბაზარზე არსებული საპროცენტო სარგებლის განაკვეთების ცვლილება არანაკლებ 5 პროცენტული პუნქტისა ან/და ბანკის საკრედიტო პროდუქტების ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვლება, ისე რომ მსესხებლის სასარგებლოდ გაცემული ოვერდრაფტი შესაძლოა ზარალიანი აღმოჩნდეს ბანკისთვის ან/და საფრთხე შეუქმნას ბანკის ფინანსურ სტაბილურობას, ბანკი უფლებამოსილი იქნება ცალმხრივად გაზარდოს ოვერდრაფტის საპროცენტო სარგებლის განაკვეთი. აღნიშნულის შესახებ ბანკმა მსესხებელს უნდა აცნობოს არანაკლებ ორი თვით ადრე შეტყობინების ფორმით.

2.7. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, მსესხებელი იძლევა თანხმობას და აძლევს ბანკს უფლებას, მსესხებლის დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის გარეშე, ბანკმა მოიძიოს და დაამუშავოს ინფორმაცია მსესხებლის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით და მიზნებისათვის სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველოს“ (ს/ნ 204470740) (შემდგომში - საკრედიტო ბიურო) მონაცემთა ბაზაში და მსესხებლის პოზიტიური ან/და ნეგატიური ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია გადასცეს საკრედიტო ბიუროს, რაც იწვევს მსესხებლის აღრიცხვას საკრედიტო ბიუროს მონაცემთა ბაზაში. საკრედიტო ბიუროსათვის გადასაცემი და მისგან მისაღები ინფორმაცია, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება): მსესხებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე საკრედიტო/სასესხო თუ სხვა სახის ფინანსური ვალდებულების წარმოშობის საფუძველს, მოცულობას, მიზნობრიობას, დარიცხულ საპროცენტო სარგებელს, მოქმედების ვადას, პირის მიერ საკრედიტო/სასესხო თუ სხვა სახის ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, უზრუნველყოფის ოდენობასა და უზრუნველყოფის საგნის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ხოლო სასამართლო დავის არსებობის შემთხვევაში - სასამართლო სამართალწარმოებისა და სააღსრულებო წარმოების შედეგს, აგრეთვე მონაცემთა ბაზისთვის საჭირო სხვა მონაცემებს.

2.8. მხარეები თანხმდებიან, რომ მსესხებლის საბანკო ანგარიშ(ებ)ზე ოვერდრაფტის სრულად დასაფარად საკმარისი თანხის არსებობის შემთხვევაში, ავტომატურად არ მოხდება ოვერდრაფტის წინსწრებით დაფარვა.

2.9. ერთდროულად ერთზე მეტი ვალდებულების არსებობისას, თუ მსესხებლის მიერ არ მოხდება ამ ვალდებულებების დაფარვის რიგითობის არჩევა, ვალდებულებათა დაფარვის პრიორიტეტულობა განისაზღვრება შემდეგი წესით: პირველ რიგში დაიფარება არაუზრუნველყოფილი ვალდებულება(ები), მეორე რიგში - უფრო დიდი მოცულობის ვალდებულება(ები).

3. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

3.1. ბანკი ვალდებულია:

3.1.1. არ გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია, ასევე ის მონაცემები, რომლებიც წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ კომერციულ ან/და საბანკო საიდუმლოებას, გარდა შემთხვევებისა, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით.

3.1.2. შეტყობინების ფორმით აცნობოს მსესხებელს ბანკის ინიციატივით ცალმხრივად ოვერდრაფტის ოდენობის შეცვლის შესახებ, ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე.

3.2. ბანკი უფლებამოსილია:

3.2.1. მოსთხოვოს მსესხებელს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება;

3.2.2. მსესხებლის წინასწარი თანხმობის გარეშე, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დაუთმოს მესამე პირებს მისი უფლებები და ვალდებულებები, ასევე ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნის უფლებები, რაზედაც მსესხებელი თანახმაა და ბანკს უცხადებს თავის უპირობო თანხმობას.

3.3. მსესხებელს უფლება აქვს:

3.3.1. ოვერდრაფტისა და მსესხებლის მიმდინარე/საბარათე ანგარიშზე არსებული თანხების ფარგლებში, განახორციელოს ისეთი საბარათე ოპერაციები, რომლებიც არ არის დაკავშირებული სამეწარმეო საქმიანობასთან და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

3.3.2. გამოიყენოს ოვერდრაფტი საბარათე ოპერაციების განხორციელებისას ოვერდრაფტის ლიმიტის ფარგლებში.

3.4. მსესხებელი ვალდებულია:

3.4.1. დროულად და სრულად დააბრუნოს ათვისებული ოვერდრაფტის სრული თანხა და გადაიხადოს მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი;

3.4.2. ოვერდრაფტის ლიმიტს ზემოთ თანხის ათვისების (გადახარჯვის) შემთხვევაში, ბანკის მხრიდან შეტყობინების მიღებიდან დაუყოვნებლივ დააბრუნოს გადახარჯული თანხა მასზე დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან და პირგასამტეხლოსთან (არსებობის შემთხვევაში) ერთად;

3.4.3. ოვერდრაფტის თანხისა ან/და დარიცხული საპროცენტო სარგებლის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში გადაუხადოს ბანკს პირგასამტეხლო წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობითა და წესით;
3.4.4 წინამდებარე ხელშეკრულების 2.6. პუნქტის თანახმად, საპროცენტო სარგებლის გადახდა ოვერდრაფტით სარგებლობისათვის განახორციელოს ახლად დადგენილი საპროცენტო სარგებლის განაკვეთის მიხედვით;
3.4.5. ოვერდრაფტის საპროცენტო სარგებლის განაკვეთის შეცვლაზე მისი მხრიდან თანხმობის არარსებობის შემთხვევაში - განახორციელოს ოვერდრაფტის დავალიანების ვადამდელი სრულად დაფარვა, ბანკის შეტყობინების მიღების დღიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში. მსესხებლის მიერ ამ ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში მსესხებელი ვალდებული იქნება საპროცენტო სარგებელი გადაიხადოს გაზრდილი განაკვეთის მიხედვით.
3.4.6. დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს იმ გარემოებების დადგომის შესახებ, რაც ხელს შეუშლის წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.
3.4.7. არ იყოს თავდები მესამე პირების ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით, ასევე არ დადოს გარიგებები, რომლებსაც შეუძლიათ დაბრკოლება შეუქმნან მსესხებელს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებაში;
3.4.8. საცხოვრებელი ადგილის და/ან სხვა ნებისმერი რეკვიზიტის შეცვლის შემთხვევაში წერილობით აცნობობს ბანკს ახალი მონაცემები 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში;
3.4.9. ბანკის მოთხოვნისამებრ, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ შემთხვევებში, ვადამდე დააბრუნოს/გადაიხადოს ოვერდრაფტის თანხა და დარიცხული საპროცენტო სარგებელი, პირგასამტეხლო (ამგვარის არსებობის შემთხვევაში).

4. უთანხმოებანი და დავა მხარეთა შორის, პრეტენზიები

4.1. მსესხებელი უფლებამოსილია წარადგინოს წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული პრეტენზიები ბანკის ნებისმიერ ფილიალში/სერვის ცენტრში ან ბანკის (სათავო ოფისის) კანცელარიაში **ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით**. წარდგენილი პრეტენზიის განხილვისა და წერილობითი პასუხის გაცემის მაქსიმალური ვადა შეადგენს 10 (ათი) დღეს. პრეტენზიების განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებ გვერდზე **www.halykbank.ge.**
4.2. მხარეთა შორის დავათა და უთანხმოებათა წარმოქმნის შემთხვევაში, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან მასთან დაკავშირებით, მხარეები ეცდებიან გადაწყვიტონ მოლაპარაკების გზით, მათთვის მისაღები გადაწყვეტილების შემუშავების მიზნით.
4.3. მხარეები შეთანხმდნენ, რომ დავების გადასაწყვეტად გამოყენებული იქნება საქართველოს მატერიალური სამართლის ნორმები. ამასთან თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთნხმებას, ხელშეკრულების ირგვლივ წარმოქმნილი ან მასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება ექვემდებარება განხილვას ბანკის მიერ უპირობო და ცალმხრივი შერჩევით საერთო სასამართლოებში საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მხარეები თანხმდებიან, რომ ბანკის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1^1 ნაწილის შესაბამისად.

5. შეტყობინებები

5.1. ამ ხელშეკრულების ფარგლებში ნებისმიერი შეტყობინება ხორციელდება წერილობით, ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ფორმით. წერილობითი შეტყობინება მხარეს უნდა გადაეცეს შეტყობინების გამგზავნისთვის ცნობილ ბოლო მისამართზე. ბანკს შეუძლია შეტყობინებისთვის გამოიყენოს სხვა საშუალებებიც (მათ შორის ელექტრონული, ციფრული, სატელეფონო და სხვა). ნებისმიერი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება: შეტყობინებებისათვის, რომლებიც გადაეცემა პირადად ან საკურიერო მომსახურების მეშვეობით - მიღების დღეს, უფლებამოსილი პირის მიერ გაკეთებული შესაბამისი მონიშვნით; შეტყობინებებისათვის, რომლებიც გაგზავნილია შეკვეთილი წერილით - გაგზავნიდან მესამე კალენდარული დღე (საფოსტო ორგანიზაციის მიერ გაგზავნისას გაცემული დოკუმენტის თარიღის მიხედვით); შეტყობინებებისათვის, რომლებიც გაგზავნილია ელექტრონული ფოსტით-შეტყობინების გაგზავნის დღეს; შეტყობინებებისათვის, რომლებიც გადაცემულია მობილური ან სხვა სატელეფონო კავშირის მეშვეობით (ხმოვანი შეტყობინებებისათვის) - ზარის განხორციელების დღეს; შეტყობინებებისათვის, რომლებიც გადაცემულია მობილური კავშირის მეშვეობით (მოკლე ტექსტური შეტყობინებებისათვის) - მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის დღეს.

5.2. მხარეები თანხმდებიან წინასწარი შეტყობინების ვალდებულების გაუქმებაზე, თუ ამ ხელშეკრულების პირობების ცვლილება ხორციელდება მსესხებლის სასარგებლოდ.

6. კონფიდენციალურობა

6.1. წინამდებარე ხელშეკრულების თითოეული მხარე ვალდებულია უზრუნველყოს მეორე მხრისაგან მიღებული ფინანსური, კომერციული და სხვა ინფორმაციის მკაცრი კონფიდენციალობა. ამგვარი ინფორმაციის გადაცემა მესამე პირებისათვის, მისი გამოქვეყნება ან გამჟღავნება შესაძლებელია მხოლოდ მეორე მხრის წინასწარი წერილობითი თანხმობით, ასევე საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების მოთხოვნის საფუძველზე.

6.2. წინამდებარე ხელშეკრულების თითოეული მხარე ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალურობა წინამდებარე ხელშეკრულების არსებობისა და მისი პირობების შესახებ.

6.3. წინამდებარე მუხლში მოცემული კონფიდენციალურობის (და საბანკო საიდუმლოების) შესახებ დებულებები არ ვრცელდება შემდეგ შემთხვევებზე:

6.3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით შესაბამისი ვალდებულებებისა და უფლებების დათმობა (მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაკისრება);

6.3.2. ბანკის მიერ დავალიანების თანხის უაქცეპტოდ ამოღების შემთხვევაში მსესხებლის ყველა ანგარიშიდან (სხვა ბანკებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებით);

6.3.3. როდესაც ბანკი წარუდგენს საკრედიტო ბიუროს ინფორმაციას მსესხებლის შესახებ და ასევე წინამდებარე ხელშეკრულების დადების შესახებ, ასევე მხარეთა მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით.

7. დამატებითი პირობები

7.1. მსესხებელს უფლება არ აქვს, ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, გადასცეს მესამე პირებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი უფლებები და ვალდებულებები.

7.2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან, რომელიც მითითებულია პრეამბულაში და მოქმედებს მსესხებლის მიერ ბანკის წინაშე წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულების სრულად შესრულებამდე.

7.3. მსესხებელი უფლებამოსილია გამოთქვას წინამდებარე ხელშეკრულების ცალმხრივად გაუქმების ინიციატივა იმ შემთხვევაში, თუ მას არ გააჩნია შეუსრულებელი ვალდებულებები ბანკის წინაშე რის შესახებაც წერილობით უნდა აცნობოს ბანკს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შეთავაზებულ თარიღამდე 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე.

7.4. ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს ხელშეკრულების ცალმხრივად გაუქმება და ოვერდრაფტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების სრულად დაფარვა, რის შესახებაც წერილობით აცნობებს მსესხებელს, შეტყობინების ფორმით.

7.5. ამ ხელშეკრულებით წინასწარ განსაზღვრულ პირობებთან ერთად მისი შესრულებისას, ის რაც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეთა მიერ დარეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

7.6. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი იდენტური ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეული არის ორიგინალი და გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა, ამათთგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მსესხებელს, ერთი ეგზემპლარი კი ბანკს.

ინფორმაცია მხარეთა შესახებ და ხელმოწერები:

ბანკი	**მსესხებელი**
სს „ხალიკ ბანკი საქართველო“	სახელი გვარი
ს/კ 205236537	მისამართი: ----------
საქართველო, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №74	ელ. ფოსტის მისამართი: ----------
ტელ: (+995 32) 2 24 07 07	ტელ: ----------
_____	_____